ბრძანება

ქ. თბილისი

N 995-02
08/05/2017

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 5 მაისის N983-02 ბრძანებაში ,,სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ქ. თბილისში, შავთელის შესახვევ N3-ში (ს. კ 01.18.03.033.008) მდებარე არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონით გაყიდვასთან დაკავშირებით, აუქციონის გამოცხადების, ვადებისა და პირობების დადგენის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ”საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების” მე-19 მუხლის და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ” და ,,ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 5 მაისის N983-02 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ქ. თბილისში, შავთელის შესახვევ N3-ში (ს. კ 01.18.03.033.008) მდებარე არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის აუქციონის წესით გაყიდვასთან დაკავშირებით 2017 წლის 8 მაისს და ინფორმაცია განთავსდეს ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე.“

2. შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 5 მაისის N983-02 ბრძანების მეორე პუნქტის ,,ბ“, ,,ვ“ და ,,ლ“ ქვეპუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,ბ).აუქციონის მიმდინარეობის ვადად განისაზღვროს 25 კალენდარული დღე და დასრულდეს 1 ივნისს;

   ვ)მყიდველმა ნასყიდობის თანხის გადახდა უნდა უზრუნველყოს აუქციონის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში - არაუგვიანეს 3 ივლისისა;

ლ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ნასყიდობის თანხის გადახდის ვადას არანაკლებ 30 დღით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის მოქმედების ვადად დადგინდეს 2017 წლის 2 აგვისტო.“

3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნება;
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მატერიალური რესურსების სამსახურს, ფინანსურ დეპარტამენტს, აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, იურიდიულ სამსახურს, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარეს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, შესყიდვების სამსახურს, უნივერსიტეტის შიდა აუდიტს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი